



# სასნადუსი ფურცელი

სურათებიანი ჟამათი

გაზეთის № 426

ლაგატივის № 76

კვირა, 8 ნოემბერი 1915 წ.

## ხელთათმანის ღილი



ერთი... ორი... სამი... ბიჭოს! დღეს ობაა.—ჰო, ღმერთმანი,—  
და მსურს გიძღვნა სამახსოვროდ უცნაური ხელთათმანი.  
იცი! მე ეს ხელთათმანი შეგიკერე სხვანაირად.  
ის არა ჰგავს ჩვეულებრივს, ის არა ჰგავს და აი რად:  
გუშინ სიზმრად ტყის ფერიამ საიდუმლოდ ჩამჩურჩულა,  
რომ ერთ მთაზე ნისლი ძვესო ჩემსავითო ნაზ-ფუნჩულა,  
მყის ჰოგრიტი მოვიმარჯვე, შიგ გაგხედე ჩემებურათ  
და ვნახე, რომ მართლაც ის მთა ნისლის კალთებს დაებურათ  
დავიბარე ცისარტყელა, ყვავილთ რაზმი შემოვკრიბე  
და მთის თხემით თვით ტერფამდე ჩამოვქსოვე ცელქი კიბე.  
მე ის ნისლი დაზიდულელი, დაფენილი მთიდან მთაზე,  
მზის მაკრატლით გამოვჭერი ხელთათმანის ყაიდაზე.  
მთვარეს ძაფი გამოვართვი, საოცნებო, მრავალ ფერი,  
წყაროს ნემსი დავესესხე, მზის ვარაყით დანაფერი,  
შადრევანის წამწამიდან დავასხურე ვარდის წვენი  
და შევკერე, როგორც ოცო, ხელთათმანი მოსაძღვინი...  
მაგრამ ღილი! ღილი! ღილი! ვერსად ვპოვე, ვერსად ვნახე...  
სად არ ვიყავ... სად არ ვიყავ... მთლად სამყარო გადავლახე,  
მოვიარე თიოქმის ყველგან, მოვიარე თვით ზღვის ფსკერი  
და რომ ღილი ყოფილიყო, შესაფერად დანაკერი,  
თვით ზღვაშიც კი ვეღარ ვპოვე, თვით ზღვაშიც კი ვეღარ ვნახე.—  
და დავიწყე ისევ ცრემლვა და დავიწყე სიცახცახე.  
ვლულლულდები: ნუ თუ შრომამ ჩაიაროს უნდა ტყვილად?  
მაგრამ უცბად თვალებიდან ჩამომემტვრა ცრემლი წყვილად,  
ჩამომეტვრა ხელთათმანზე, დათამაშდა, დაირბინა  
და შეება ცრემლი ღილად... და მონახა ცრემლმა ბინა...  
დღეს ობაა. არა გჯერა? დღეს ობაა,—ჰო, ღმერთმანი,—  
და მიიღე სამახსოვროდ ეს ოცნების ხელთათმანი.

ი. გრიშაშვილი.

## მღვთიშობი

ჰერმარტ ჰაუპტმანისა.  
(დასასრული \*)

ქალაქის პირველ სახლებს რომ მიუახლოვდა, ნაბიჯის მწყობრ  
ხმაზე მოაგონდა პოლკი და სამხედრო სამსახური. რამდენჯერ, ლეი-  
ტენანტობის დროს, წინ წასძლოლია ჯარის-კაცებს და სახედრო  
მუსიკის ხმაზე, კმაყოფილი, თავმომწონე შესულა ქალაქში. ვერც კი  
მოასწრო ამის გაფიქრება, რომ ყურში უკვე დაიკრიალა ძლიერმა,  
აღმაფრთიანებულმა მუსიკამ, რომელსაც ბევრჯერ დაუთვრია იგი  
ფანატოკოსის სიხარულით. ამ მუსიკის ზედავლენით უნებლიედ  
ტაქტს აჰყვა. მიდიოდა ამაყად, თავ აწეული და მკერდ-გაჭიმული.  
ტუჩებზე ძღვევა მოსილი ღიმილი უთამაშებდა, თვალები სიცოცხლით  
უბრწყინავდნენ. მიდიოდა და თან უკვირდა, რომ ასე ნათლად არ-  
კვეს თვითოეულ ტონს, თვითოეულ აკკორდს. თითონაც არ იცო-  
და, გაჰხარებოდა თუ არა, რომ ფანტაზის ასეთი ძალა აქვს. უმე-  
ველია, ეს თავისებური ნიჭი იყო, მუსიკის ნიჭი. ამ დარგში მას შე-

ეძლო დიდებული რამ შეექმნა. საზოგადოდ რაოდენი ძალა და ნიჭი  
შეიძლება დაეხმოს!.. მაგრამ, ეს სულ ერთია. ყოველივე ხელოვნება  
სიგიჟეა, საწამლავი. მას სულ სხვა მისწრაფება აქვს, უფრო შესა-  
ნიშნავი.

წინ ახალგაზნდა ქალი შემოხვდა. ცისფერი კაბა ეცვა, გულზე  
ვარდისფერი ხელსახოცი ჰქონდა გაკეთებული, ხელში თუნუქის ჭურ-  
ქელი ეჭირა, რომელიც, როგორც ეტყობა რძით იყო სავსე. ერთ  
წამს თვალი შეავლო და შეატყო, რომ მის დანახვაზე ქალი შეჩერ-  
და გაკვირვებით თვალები გააჰყიტა; მერე წყნარად, მოკრძაღე-  
ბით სალაში მისცა. მან თავშეკავებით, სერიოზულად მადლობა გა-  
დაუხადა და გვერდზე გაუარა.


ყველაფერი როგორღაც უცებ მიუჩნდა მის არსებაში ერთი  
წამის განმავლობაში წინანდელი მისი წარმოდგენანი თითქოს სრუ-  
ლიად გაჰქრა. თუ მის ყურში კიდევ გაისმოდა მუსიკის ხმა, იგი უკ-  
ვე აღარ იყო მიწიერი მელოდია. ისეთ გრძნობას განიცდიდა თით-  
ქოს წყალზე მიდის ფეხით და შიგ კი არ ვარდებოა. თავისი თავი  
იმდენად დიდებულად ეჩვენებოდა, რომ თავის თავს თავმდაბლობას  
ურჩევდა. ამასთანავე უნებლიედ აგონდებოდა ქრისტეს შესვლა იე-

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 75.

### საერთაშორისო ომი



† ბიკანტი (ჰოლა) ლომთათიძე  
(სპ. მცირეშვილი) მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი. გარდაიცვალა 5 ნოემბერს სარატოვში.



დასავლეთის ასპარაჟი. მავთულებიანი ხლართის საფარი, საფრანგეთის ჯარის პირზე.

რუსალიმში და სიტყვები: „მეუფე ესე შენათ მოვალს მოკრძალებული“.

ახალგაზდა ქალმა თვალი გააყოლა. რალაც მიზეზის გამო ცდილობდა შუა გზა-ტყეცილზე ევლო, მაშინაც კი, როდესაც შეუხვია და ფართო, თეთრსა და დაქანებულს გზაზე გავიდა. ამასთანავე ერთად, თითქოს რალაცა ძალის ზედგავლენით, იმეორებდა: მეუფე ესე მოვალს. ამ საგალობელს თითქოს ბავშვები ამბობენო. ენის წვერზე ადგა ეს სიტყვები, თავისი სუნჩქვის გამოურკვეველ ხმაურობაშიაც კი ესმოდა. ამ სიტყვებს უერთდებოდა „ოსანნა“.

... ბზის ტოტთა შრიალი, სიხარულისა და ზეიმის ყიყინა; გარშემო... გაფითრებული, აღგზნებული სახეები. მერე უეცრივ ისევ სიჩუმე... სიმარტოვე.

გაოცებით თვალები მალლა აიღო. გარშემო — თითქოს ცარიელი კულისებიაო. მარჯვნივ და მარცხნივ — ქვის სახლები, მძინარენი, მშვიდნი და მდუმარენი. არე-მარეს თვალი დაკვირვებით მიავლმოავლო. სახლები შეურყეველად იდგნენ, სურათი არა ჰქრებოდა ნელ-ნელა მისი სული დაემორჩილა სინამდვილის გავლენას. თითქოს გამოფხიზლდა. ისევ პატარა, ჩვეულებრივი გაჰხდა.

აქა-იქ ფანჯრები იღებოდა, გამოჩნდებოდა მოსამსახურეს თავის, ლეიბსა ბერტყავდა. შავგვრემანი სტუდენტი ფუნჩულა ტუჩებით, — როგორც ეტყობა რუსი, — ფანჯარასთან სდგას და დილის პაპიროსა სწევს. ქუჩას თანდათან სიცოცხლე ემატებოდა. თავჩალუნული მიდიოდა, ჩუმ-ჩუმად აკვირდებოდა ყველაფერს. რამდენჯერმე თვალი შეასწრო მხიარულს ხან კიდევ თავზედ ღიმილს. ხშირად დააცივნას გაკვირვება შესცვლიდა ხოლმე, გაივლიდა, და მის ზურგს უკან სიცილი ისმოდა; გესლიანი, გულის მომკვლელი სიტყვებით აცილებდნენ.

ამ დაცივნისა და გესლიანი სიტყვების ზედგავლენით სხივფენილი სულიერი განწყობილება იფერფლებოდა და მკრთალი ჰხდებოდა. გული ყელში ებჯინებოდა. ძველი, მწარე, უიმედო ტანჯვა კვლავ იჩენდა თავს. ადამიანის საშინელი სიბრმავე სქელ და გაუვალ კედელსავით აღმართულიყო მის წინაშე.

დარწმუნდა, რომ თავის მოტყუება სრულიად მეტია, უსარგებლო. როგორცა სიანს, იგი წვრილმანი, ვიწრო, უგვანო ბუნების ადამიანი ყოფილა. ყველა ეს დევნა და დაცივნე-დამსახურებული იღებს იმას რაც ეკუთვნის. იყო წუთები, როდესაც სირცხვილით იწოდა, თითქოს ტყუილში დაიჭირესო უნდოდა სადმე დედამიწის კიდურზე გადახვეწილიყო, სადმე დამალულიყო, შეეფარებინა თავი, საზოგადოდ როგორმე ბოლო მოეღო თავისი არსებობისთვის. ესლა რომ მარტო იყოს, მოიგლეჯდა თავიდან ამ ბაწარს, წმინდანთა სახეების გარშემო ბრწყინავ შუქს, შარავანდელს რო ჰგავს. სირცხვილით იწოდა; ასე ეგონა თავზე მასხარის ჩაჩი ადევსო.

ესლა იგი მიდიოდა ვიწრო, დაგრებილ ქუჩების გაუთავებელ ლაბირინტოში, სადამდისაც შუქი ვეღარ აღწევდა. მისი ყურადღება

ნამცხვარით საგსე ფურნის ფანჯრებმა მიიპყრო. გაალო შუშაბანდიანი კარი და შევიდა. მეფურნე და მისი ცოლი გაკვირვებით უყურებდნენ, ამან არაფერი უთხრა, აარჩია პატარა პური და გამოვიდა. კარებთან რამდენიმე ცნობის მოყვარე შეკრებილიყო: ვილაც ბებერი დედაკაცი, ბავშვები, ხორცის დუქანში მოსამსახურე ბიჭი თაბახით მხარზე. ერთხელ შეავლო თვალი მათ სახეებს; თავხედური მათში არა იყო რა; აქეთ-იქით გაიწიეს და გზა მისცეს.

როგორი გამომეტყველებით უყურებდნენ ყველანი! პირველად ყოვლისა მეფურნე და მისი ცოლი... თითქოს მან პური შესაქმელად კი არა სასწაულის მოსახდენად წაიღოო. ეს ხალხი კარებთან ელოდებოდა ძას? რამე მიზეზი უნდა იყოს თუ არა. და აი ეხლაც ეს ჩურჩული და ფაჩუნი უკან! რად მისდევენ უკან? რადა სდევნიან?

გულ-მოდგინედ ურს უგდებდა. მალე მიხვდა, რომ უკან ბავშვების გროვა მისდევდა. ხან ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავიდა, ხან მოედნები ძველი ჭებით გადაიარა, ხან ტყუილად უკანა ბრუნდებოდა, ხან მიმართულებასა სცვლიდა, მაგრამ ამაოდ, ბავშვების ამალა მოუშორებლივ უკან მისდევდა.

რად მისდევენ უკან? ნუ თუ არ დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ნახეს? ან იქნება მეტს მოელოდნენ მისგან? იმედი ჰქონდათ გაეგონათ მისგან რალაც ახალი, არაჩვეულებრივი, სასწაულებრივი? და ეჩვენებოდა: ეს ერთფეროვანი, აჩქარებული ბაკა-ბუკი ბავშვების ფეხებისა ჰმოწმობს მტკიცე სარწმუნოებას, — უფრო მეტს: რწმენას. უცებ მისთვის ნათელი გახდა, თუ წინასწარმეტყველნი, ჭეშმარიტად დიდებული და სპეტაკი ადამიანები. ბოლოს და ბოლოს, ასე ხშირად რატომ ხდებოდნენ მდაბალ მატყუარებად. უეცრივ ისეთი მხურვალე, მწველი მოთხოვნილება იგრძნო ჩაედინა რამე არაჩვეულებრივი, მოეხდინა სასწაული, უუდიდესი დამცირება არაფრად ეჩვენებოდა თავისი უძლურების შეგნებასთან შედარებით.

უკვე მოასწრო სანაპირო ქუჩაზე მისვლა, ბავშვები კი ისევ უკან მისდევდნენ სიბილით. ზოგი ჩქარა მიდიოდა, ზოგი კი, რომელნიც უფროსები იყვნენ ვეებერთელა ნაბიჯებს ადგამდნენ, რომ დასწეოდნენ მას. ერთმანეთს ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ესროდნენ,



სერნოვოდსკის ლაზარეთში მყოფი დაჭრილი ქართველი ჯარის კაცები.



კრას. მიხეილ მურვანიძე (მოკლული).



ხორუნჯი ალექსანდრე დადუშქელიანი (მოკლული).



არჩილ ბანცაძე (დაჭრილი).



ისიდორე ბეგლარიძე (დაჭრილი).



ანტონ ბერბიჭავილი (დაჭრილი).



ალ. გამყრელიძე (მსახიობის და აწყურელის შვილი) (დაჭრილი).

შოკრძალებით ჩურჩულებდნენ, როგორც ეკლესიაში. აქამდის ვერ გაარჩია, რას ლაპარაკობდნენ.

მერე უცებ სრულიად გარკვევით გაიგონა სიტყვები: „ისო ქრისტე“...

რალაცა სასწაულებრავე იყო ამ სიტყვებში. მათ აღადგინეს იგი, ახალი ძალა მისცეს; თავს განახლებულად გრძნობდა.

იესოს დასცინოდნენ, სცემდნენ, სახეში აფურთხებდნენ, ჯვარზე გააკრეს. დამცირება და დაცინვა—ჯილდოა წინასწარ მეტყველებისა. ამისი საკუთარი ტანჯვა იმდენად მცირეა, ისეთ არარაობას წარმოადგენს, რომ ფიქრიც კი არა ღირს. პატარა, ლაჩრული ქინძისთავის ნაჩხვლეტები. სუსტია, ის, კინც ამის გამო დაიღუპება.

იგი ბრძოლისთვის არის მოსული. გამარჯვებულს კრილობებით იცნობენ. დევნა, დაცინვა, გაკიცხვა—განა კიდევ არის ქვეყანაზე ამაზე უკეთესი, უმაღლესი წარჩინების ნიშნები?! ასეთი წარჩინების ნიშნებით გულზე შევიძლიან ამყად და გაბედვით უცქირო ყველას თვალში. გარდა ამისა ძუძუმწოვარა ბავშვებისაგან უკვე დაიმსახურა ქება და დიდება. ფორთოხლით მოვაჭრე დედაკაცის თაბახთან შეჩერდა. შეჩერდნენ ბავშვებიც; ქალაქის სამმართველოს შესავალ კარებიდან უსაქურ ცნობისმოყვარეთა ბრბო თვალს ადევნებდა. დიდის სიამოვნებით უხმოთ, დაულაპარაკებლივ იყიდდა იგი თავისთვის ხილს. მაგრამ ხალხი გულმოდგინედ ელოდა მისგან სიტყვას; ეს შორცხვობდა და უხერხულად ჰგრძნობდა თავს. სწორე გრძნობა უკარნახებდა მას, რომ საჭიროა ანგარიში გაუწიოს მათ ილილიუზიას, იმაზე, თუ რას ან როგორ ატყვის იგი, დამოკიდებულოა, გაპყვებიან უკან მისი მსმენელნი თუ იმედ გაცრუებულნი ზურგს შეაქცევენ. ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო: ლაპარაკის მოყვარე მოვაჭრე ქალი ბევრსა ყბედობდა და სხვა და სხვა კათხვებს აძლევდა, საჭირო იყო დაელაპარაკანა.

უკვე თვისი ხმის პირველმა ძეგრამ დაამშვიდა და გაამხნევა; ამ ხმაში იყო რალაც ღრმა, რალაც დიდებული და მასთან ნაღვლიანი, რომელსაც, დარწმუნებული იყო, უნდა შთაბეჭდილება მოეხდინა, ანგვარი ხმა არას დროს არ გაუგონია; ის ლაპარაკობდა და თან სტკებობდა ლაპარაკით, როგორც მომღერალი თავის სიმღერით. ხილზედ, რომლის ბოძებსაც მომწვანო-ლურჯი ტალღები ეხეთქებოდა, იგი ისევ გაჩერდა. მოაჯირზე გადაყულებული სინათლით, ფერადებითა და დილის სიგრილით სტკებობდა. მძაფრი, გახალისებული ქარი უბერავდა და უწეწდა წვერს, მხრებზე უფენდა, თავს და გულს უფრილებდა. და აი, იგი აღფრთოვანდა, გულის სიღრმიდან იფეთქა მტკიცე გარდაწყვეტილებამ. დადგა დრო. აუცილებელი უნდა აღსრულებულიყო. მასში არსებობს ისეთი ძალა, რომ მთელი კაცობრიობა შეარყიოს. დიახ! მამ შეუძლიანთ დასცინონ, სდევნონ და ამცირონ, — მაგრამ იგი მაინც გაანთავისუფლებს მათ—ყველას, ყველას.

ღრმად ჩაფიქრდა. ეს რომ უნდა მომხდარიყო, აღარავითარი ეჭვი იყო; რანაირად—ამას კი მოფიქრება უნდოდა. დღეს სამებობას დღესასწაულობენ: ეს კარგია. სწორედ ამ დღეს სული წმინდა ცეცხლის ენებად მოეფინა მოციქულებს. სადღესასწაულო სულის განწყობილება ხელს უწყობს შეთვისებას. ამისთანა დღეებში ადამიანთა გული მოხნულ მინდორსა ჰგავს. ის უფრო და უფრო ღრმად იხედებოდა თავის სულში. სანამ არ მიაღწია ისეთ ადგილს. სადაც ყველა ფერი შორი, მაღალი, უსაზღვრო და განუზოქელი იყო. იმდენად მოიცვა მთელი მისი არსება ამ ქვეყანას, რომ, როგორც ძილში ნებისყოფის დაუხმარებლად მიდიოდა წინ. გარემოსაგან მის შეგნებამდის მხოლოდ ბავშვების პატარა ფეხების ბაკუნი აღწევდა. მათი ფეხის ხმა უფრო ძლიერდებოდა, თითქოს იმ პაწია ჯგუფს, რომელიც მას მისდევდა, სხვებიც მიემატნენო. ეს ბაკუნი უფრო და უფრო ხმა მაღალი ხდებოდა, თითქოს თვითიულისაგან ასეთუ სდგებოდა, ასეთულისაგან კი—ათასეთულო.

უცბად სმენად გადაიქცა. მოესმა თითქოს უკან ჯარი მოადევსო. მის ფერხთა ქვეშ ნიადაგი ზანზარებდა. უკან ძლიერი სუნთქვა, აჩქარებული ჩურჩული ესმოდა. ესმოდა ალტაცების ყიყინა, ნაწყვეტ-

ნაწყვეტი, შეკავებული. ეს ხმა უკან-უკან მიდიოდა და შორს სივრცეში იკარგებოდა.

კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს. მაგრამ არ მოელოდა, რომ ეს ასე გასაოცრად მალე მოვიდოდა. მთელი მისი სხეულში წინამძღოლის ამაყი გრძობა ჰვეთქდა. მან იცოდა გზა, რომლითაც უნდა წაეყვანა. იგი ჰგრძობდა, მოახლოვებულია ის ბედნიერი წუთი ქვეყნისა, რომელსაც უშედეგოდ ელოდნენ უსინათლონი თავიანთი გასისხლიანებული ხელით ათასი წლების განმავლობაში.

ასე მიდიოდა წინ იგი... იგი—ისევ იგი! მის უკან კი ფეხ და ფეხ ზღვის ტალღებსავით მოდიოდნენ სხვა და სხვა ხალხნი. მილითა არდი ადამიანების თვალნი სასოებით და იმედით. იყვნენ მისკენ მიჰყრობილნი. უკანასკნელი დამცინავი დიდი ხანია დადუმდა. უკანასკნელი, რომელიც მას ამცირებდა, ზღაპრად გადაიქცა.

წინ მიდიოდა, მიდიოდა მთებისაკენ. იქ, მაღლა, საზღვარი იყო. იმის იქით იყო მხარე, სადაც ბედნიერება სამუდამოდ ჩაჰხვეოდა მშვიდობიანობას და განისვენებდა.

უკვე ეხლავე ისეთი ძლიერი ბედნიერება იგრძნო, მიხვდა, რა რკინის მუსკულულობა საჭირო, რომ აიტანო იგი. მას აქვს ასეთი მუსკულულობა, იგი ფლავანია. თვითვეულის ნერვითა სცხოვრობდა, ფრთებსა შლიდა, თავისივე ძალ-ლონით ნეტარებდა, სტკებოდა. სურვილი დაებადა ამ კლდეებთან ბურთი ეთამაშა. მაგრამ მის უკან აბრეშუმის დროშები შრიალებდნენ; ისმოდა გუგუნნი ურიცხვი მიმდევრებისა.

ეძახდნენ, თავისკენ იწვევდნენ მას; შავი, ლურჯი, წითელი დროშები ჰაერში ფრიალებდნენ; ქალების ქერა კულულებს ქარი შლიდა; შავი და ქალარა თავები ძირს იხრებოდნენ; ტიტველა მკლავებზე მუსკულულობა ნერვითადად აბურცულიყვნენ; საარწმუნოების წმინდა ალით ანთებული თვალები ცას იყვნენ მიჰყრობილნი მისკენ, რომელნიც წინ მიდიოდა.

და აი ბოლოს მან წარმოსთქვა ჩუმად, ოდნავ გასაგონად ზეაღმტაცი აღთქმის სიტყვები: „მშვიდობიანობა მთელი ქვეყნისა“. გაცოცხლდა, სიტყვა ყველას მოეფინა. გაისმა გუგუნნი გაკვირვებისა და აღტაცებისა. შორიდან ქარმა მოიტანა დაწყებული გალობის პირველი აკორდები. საყვირები ყრუდ გუგუნებდნენ, მოკრძალებით და ჩუმად გალობდნენ ადამიანის ხმები; უცებ თითქოს გაჰქრა ყოველივე დაბრკოლება და ცისკენ გაფრინდა ძლიერი, გამარჯვების სიმღერა, თითქოს ათასმა ორლანმა ერთად დაიგრილაო. სიმღერა იგი იყო ცხოვრება, გრივად; მელიოდა კი ძველი იყო, ნაცნობი მისთვის: „აქებდეთ მეუფეს ციდან“. გონს მოვიდა. გული ჩაქოჩივით უტემდა. მზათ იყო აქვითინებულიყო. თვალწინ რალაც თეთრი წერტილები უთამაშებდნენ თითქოს მთლათ დამტკრეული იყო.

სკამზედ დაეწვა და ნაყიდ პურს ჰამა დაუწყო. მერე ფორთოხალი გაფტქვნა და ცივი ქერქი გახურებულ შუბლზე მიიდო. თვითონ ნაყოფი კი მოკრძალებით, მოწიწებით შექამა.

ხელები ძირს დაუშვა. ცოტა შესვენება უნდოდა, ცოტა ძილი. დიახ, ეს რომ ასე ადვილი იყოს! როგორ უნდა დაისვენო, როდესაც თავი გიბეუის და შიგ ათასნაირი აზრი გიტრიალებს; როდესაც გული ლამის არის ვადმოგივარდეს; რადაცა ძალა გეწევა სადაც შორს, შორს; როდესაც ადამიანს შესასრულებელი მისია აქვს, დაკისრებულ—ადამიანები კი ელოდებიან მას, თავებს იმტვრევენ, ვერ გაუგიათ, რად აყოვნებს იგი. რა დასვენება და ძილი შეიძლება როდესაც აუცილებლივ საჭიროა მოქმედება!

მძიმე მდგომარეობას განიცდიდა. სულ კითხვები, კითხვები,— და სულ უპასუხოდ. ბურუსიანი, ნაცრის ფერი, გულის გადამლევი სიკალიერე და დროგამოშვებით რალაც აუადმყოფური პაუზები აზროვნებაში. მოაგონდნენ გერედ წოდებულ „ქები-წეროები“ ხანდახან იქაც მოხდებოდა ხოლმე: თქვენ სდგებართ და რაც ძალა და ღონე გაქვთ ეწვეით თოქსა, მაგრამ გაჯიუტებული გოგირას დატრიალება არ უნდა. თქვენ უფრო ძლიერ აწევით, უფრო ძლიერ იწევთ. აუცილებლად საჭიროა წყლის ამოღება. წყურვილი-საგან იღრჩობით. გოგრა არც წინ მდის არც უკან. ეს წვალება იყო, წამება,— თითქმის ფიზიკური ტანჯვა. ფეხის ხმა მოისმა— ისეთი სიხარულით მიეგება, როგორც განთავისუფლებას. დნერო ჩემო! რა ფანტაზია! ეხლა კი ძილი!

წამოდგა, თან კი უოცდებოდა, საიდან გაჩნდა თავისი კამერაში, და გაალო დერეფანში მიმავალი კარი. იცოდა, რომ კარებს უკან მისი დედა სდგას, და იმისი შემოშვება უნდოდა. დედა შემოვიდა და აღტაცებით, გაკვირვებით, სიხარულით გაბრწყინებული უყურებდა; ტუჩები უთრთოდა, ხელები დაეკრიფნა სალოცავად. ამან თავზე ხელი დაადო და უთხრა: „ადექ“— და ის ადგა და წავიდა. როდესაც წელში გასწორდა, მიხვდა, რომ დედა კი არ იყო, არამედ ის—წამებული ნაზარეთიდან. ამან განა მართო განკურნა იგი. მან იგი გააცოცხლა. მკვდარის სუდარა ოდნავ ტანზე ჰქონდა შემოხვეული იესოს. მივიდა მასთან ახლო, სულ ახლო ზედ მიეკრა და შევიდა მასში. ამავე წუთს გაისმა აუწერელი, საოცარი მუსიკა. სრულიად ნათლად გრძობდა, როგორ იღუმალად იესოს სხეული მის სხეულში იშლებოდა. დანიხა მისი მოწაფეები, რომელნიც მას ეძებდნენ. იმათგან გამოერჩია პეტრე, მივიდა მასთან და უთხრა:

— მასწავლებლო!

— მე ვარ,— იყო პასუხი.

პეტრე უფრო ახლო მივიდა, სულ ახლო, ხელით შეეხო თავის თვალის კაკას და ტრიალი დაუწყო: მოციქული დედამიწის ბურთს ატრიალებდა. დადგა საათი, როდესაც ხალხს უნდა სჩვენებოდა. აივანზე გავიდა. ძირს ბრბო ღელავდა. ადამიანთა ზღვის დუღუნსა და ხმაურებაში მოისმოდა ერთად-ერთი ბავშვის წვრილი ხმა, რომელიც გალობდა: „ქრისტე აღსდგა!“

ის იყო დაიწყო ამ ხმამ გალობა, რომ აივნის რკინის მოაჯირმა წინ წაიწია...

ამას ძალიან შეეშინდა, წამოხტა, თვალები მოიფშვინტა და მიხვდა, რომ სკამზე დასძინებოდა.

ასე შუადღე მოახლოვებული იქნებოდა. ისევ მაღლა, წიფლები ტყეში აპირებდა ასვლას, რომ იქ დაეცადა დანიშნულ დრომდე. იქ, ცის სიმაღლიდან, მზე აკურთხებს მას. მთაზე ასვლა დაიწყო. ჰაერი წინანდებურად წმინდა და გრილი იყო. ფრინველები შემოქმედს ქება-დიდებას უგალობდნენ. ცა მკრთალ ლაქვარდს, გადმობრუნებულ ბროლის ხუფსა ჰგავდა. ყველაფერი ისეთი ახალი, ისეთი უბიწო იყო!

თითონ ესეც ის აღარ იყო რაც წინათ,—ახალი. თავის ხელს დახედა—ეს ღმერთის ხელი იყო, როგორი თავისუფალი და წმინდა იყო მისი სული! ან ეს ძალდაუტანებელი მოძრაობა მისი სხეულის ყველა ნაწილისა, ეს სრული შინაგანი რწმენა და ქენჯნისაგან განთავისუფლება! ჩაფიქრება და ეჭვები ეხლა შორს იყვნენ! სიბრალულით ილიმებოდა, როდესაც ამ ქვეყნის ფალსოფოსებზე ფიქრობდა. ყველა მათ ბრძნულ მოსაზრებებს ისევ შეუძლიანთ შექმნან რამე, როგორც პაწია ბავშვს ჰაერში ასვლა მარტო თავისი პაწია ხელების საშუალებით. არა, არა: ამისათვის საჭიროა ფრთები,—განიერი, ძლიერი არწივის ფრთები და ძალა ღმერთისა!

მას თავში თითქოს ვეებერთელა ძვირფასი ალმასი ჰქონდა, რომელიც კაშკაშ სინათლით ანათებდა ყველა ბნელ ხრამებს და უფროსკულებს: წყვედიდი იფანტებოდა მის მოახლოვებაზე... იწყებოდა გარიჟრაჟი ჰემმარტებისა, ცოდნისა.

ეკლესიებში ზარების რეკვა დაიწყეს. ძლიერმა ხმებმა გაინავარდეს სივრცეში. კაცს ეგონებოდა, ჰაერმა თავის საკუთარ ენაზე დაილაპარაკაო.

ეს ცოტა წინ წაიხარა, ყური მიუგდო ამ რეკვას ისე, თითქო ძველი მგობრის ხმას ისმენსო: ეს ხომ ზეციერი მამა იყო. თავის ძესთან მოსაუბრე.

მარი ციციშვილი.

